MES 4 23 0001688623

11/12/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია- შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

ნინო ცხოვრებაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია კვირიკაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა:
იზა ღიბრაძე - დირექტორი
სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლა:
მარინე ლომიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლა:
ნანული ბოლქვაძე - დირექტორი
სსიპ - ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯა რო სკოლა:
ფატმან გურეშიძე - დირექტორი
სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა:
ზაზა გავაშელი- დირექტორი
სსიპ - ვახტანგ კვარაცხელიას სახელობის ქალაქ წალენჯიხის N4 საჯარო სკოლა
ნონა მებონია - დირექტორი
სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლა
ნანული მეტრეველი - დირექტორი
სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლა:
სსიპ - ქალაქ ტყიბულის N2 საჯარო სკოლა:
მარინა ხუციშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
10. სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლა:
ნინო დათიშვილი - დირექტორი.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლა:

ა) ლია ჯალაღონია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) თამთა კვარაცხელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ნათია დარსაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) მაკა ინაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ე) სოფიო დუმბაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ანა ანუშიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ციცინო თორია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
თ) ელიზა კუკავა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ი) ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
კ) სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლა:
ა) პაატა ჩორგოლაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) კესო ბოყოველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ფიქრია მუმლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) მეგი ტალახაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ელენე გაფრინდაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ნატო შაინიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) გიორგი ჩაჩუა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ნანა შალამბერიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ნონა გორგილაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) გიორგი კოპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნათია კოხოძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლა:
ა) ლელა ფიცხელაური - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ნანა გაგუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) მაია ქევხიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) დარეჯან თედორაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) მაია ქუთათელაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) თეონა ჯაფარიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) თეა ხუროშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ბელა დურგლიშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) გოჩა შუბითიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯა რო სკოლა:
ა) მარიამი ხეთაგაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:

ბ) ტარიელ კალანდაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ია ვარდოსანიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) მაია მაძღარაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ნათია ქათამაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ნანა ჩხიკვაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ელიზა კუკავა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ნინო ჯახველაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ხათუნა გერგაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლა:
ა) თეა გაბელაია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ნინო შიუკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ია ვარდოსანიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ფიქრია მუსერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ია გაგნიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) სოფიო გელაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ნინო მარღიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) მარინე კვარაცხელია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) თამარ ზედგენიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნინო კოვზიაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ვახტანგ კვარაცხელიას სახელობის ქალაქ წალენჯიხის N4 საჯარო სკოლა:
ა) თეა გაბელაია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ტარიელ კალანდაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) თეა ნინუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) მაია შამუგია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) მარინე შანშიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ქეთევან პარუნაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) მაია სიხარულიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) მარიამი ღუბელაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) თამარი მურუსიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ხათუნა ბენდელიანი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლა:
ა) გოჩა შუბითიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) თამარ კვანტიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ნინო ბურჯალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ანა ანუშიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ია გაგნიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ვ) სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ლაშა სარალიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ლელა კვირტია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ავთანდილ კეჭაყმაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლა:
ა) მარინე ჯანაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) თინათინ ბედუკაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) მანანა ცუცქირიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ნინო კაპანაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) სოფიო მგალობლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ხათუნა კალმახელიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ავთანდილ ცნობილაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ხათუნა ქერაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) მარინე ახალაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნათია კურტანიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ქალაქ ტყიბულის N2 საჯარო სკოლა:
ა) თამთა კობახიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) მირანდა იაკობიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ირმა თოდიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ნინო კაპანაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ვარდო გოგილავა - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ნინო ზირაქაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ხათუნა მარკოზაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) თეონა შერაზადიშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) მაია ჩაჩხიანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) გიორგი კოპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) მაკა ნატროშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლა:
ა) ირმა ხუციშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) თამთა მურვანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ეკატერინე გურგენაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ბექა კვაჭაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) გვანცა მოლაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) მადონა ბობოხიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ელიზა ბაგალიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) სოფიო ხვადაგიანი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ციცინო თორია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

კ) კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 27 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ვახტანგ კვარაცხელიას სახელობის ქალაქ წალენჯიხის N4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7.სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ქალაქ ტყიბულის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის ავტოიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
შემდგომში, თავადვე დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს შუამდგომლობით სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის

განხილვის გადატანასთან დაკავშირებით სკოლის საავტორიზაციო დოკუმენტაციაში არსებული ტექნიკური ხარვეზის არსებობის გამო.

საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა და საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო განახლებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის ს აჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ვახტანგ კვარაცხელიას სახელობის ქალაქ წალენჯიხის N4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ ტყიბულის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლია ჯალაღონიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 14 და 15 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფელ პირველ სვირში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა

ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 350 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 350 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლა ჩართული იყო საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა „ეკოსკოლაში“, რომელიც ემსახურებოდა გარემოსდაცვითი განათლების პრინციპების დანერგვასა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველი და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, რადგან 3.1 კომპონენტი შეფასებული იყო მეტწილ შესაბამისად.
რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა ყურადღება გაამახვილა დასკვნაში არსებულ ტექნიკურ ხარვეზზე. მისი შეკითხვა ეხებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებულ მეორე სტანდარტის შეფასებას და რეკომენდაციებს 2.2 კომპონენტთან მიმართებით, რომლის მიხედვითაც, მეორე სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ სამივე საფეხურზე. ექსპერტი, თამთა კვარაცხელია, დაეთანხმა საბჭოს წევრს და დაადასტურა, რომ დასკვნაში ასახული მეორე სტანდარტის, ასევე 2.2 კომპონენტების შეფასება სამივე საფეხურზე უნდა ყოფილიყო „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ლია ჯალაღონიამ განმარტა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა 3.1.2.4 ინდიკატორზე და დასძინა, , რომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია, დაწესებულების მიერ შესაბამისობის გეგმაში ასახული ვადების თანახმად, 2023 წლის 28 დეკემბრამდე უზრუნველეყო ექიმის პოზიციაზე კანონმდებლობით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე პირის დანიშვნა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
შემდგომში, თავადვე დაინტერესდა, იყო თუ არა სკოლაში ადაპტირებული გარემო ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისთვის.
ლია ჯალაღონიას თქმით, მეორე სართულზე მდებარე კომპიუტერული ლაბორატორია არ ქმნიდა ინკლუზიურ გარემოს პანდუსის არარსებობის გამო, ხოლო სხვა დანარჩენი სასწავლო სივრცეები პირველ სართულზე იყო განთავსებული.
სკოლის დირექტორმა, იზა ღიბრაძემ, აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის პირველ სართულზე მოსაწყობად დაწყებული ჰქონდათ მუშაობა.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, აღნიშნა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა დაწესებულებაში დამტკიცებული იყო არაუფლებამოსილი კოლეგიალური ორგანოს მიერ. მან შეკითხვით მიმართა ექსპერტებს, გაიცა თუ არა ზეპირი რჩევები სკოლის მიმართ პირველ სტანდარტთან დაკავშირებით.
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამთა კვარაცხელიამ განმარტა, რომ ექსპერტების მხრიდან გაცემულ იქნა რეკომენდაციები და რჩევები. მან დააზუსტა, რომ სკოლას ჰქონდა მისია და ხედვა, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები საჭიროებდა დახვეწას.
ზვიად გოგუაძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სკოლამ 2023 წელს დაამტკიცა 2022-2029 წლის გეგმა, შესაბამისად, დოკუმენტაციის წარმოებაში სკოლას ჰქონდა მნიშვნელოვანი ხარვეზები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი სვირის საჯარო სკოლას (ს/კ: 230078331) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელი პირველი სვირი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელი პირველი სვირი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელი პირველი სვირი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - პირველი და მეორე სტანდარტი.

საბჭომ 3.1 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის

შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კადრის დასაქმების, ასევე ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა 2024 წლის ნოემბრამდე.

2. სსიპ-ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, პაატა ჩორგოლაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 და 17 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 350 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 350 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივი შესაბამისობით, რადგან კომპონენტები 3.4, 3.5 და 3.6 შეფასდა მეტწილად.
ექსპერტის განცხადებით, თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტს, საჭიროებდა თუ არა სკოლა რეაბილიტაციას.
პაატა ჩორგოლაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში, სხვადასხვა ადგილზე ჩამოდიოდა წყალი, რაც განაპირობებდა იატაკის დაზიანებას და არღვევდა მის სიმყარეს. შესაბამისად, სკოლა საჭიროებდა რეაბილიტაციას.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მარინე ლომიძემ, განმარტა, რომ დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა ალტერნატიული ფართის მოძიების პროცესი, რათა რემონტის პერიოდში არ შეფერხებულიყო სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, ხაზი გაუსვა იმ ფაქტს , რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში არ იყო ასახული პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვასთან და აქტივობებთან დაკავშირებული საკითხები.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, კითხვით მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს, კერძოდ, რა საჭიროებები გამოიკვეთა კურიკულუმების მიმართულებით და ვლინდებოდა თუ არა მათი დახვეწის აუცილებლობა.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ნონა გორგილაძემ, განმარტა, რომ შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით გაიცა რჩევები, გარდა ამისა, გარკვეულ კლასებში არ იყო გათვალისწინებული სასწავლო რესურსები. ექსპერტმა ასევე დასძინა, რომ შესწორებული კურიკულუმები სკოლას გადმოგზავნილი ჰქონდა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რა ნაბიჯების გადადგმას აპირებდა დაწესებულება ინკლუზიური განათლების მეტი ხელმისაწვდომობისთვის.
სკოლის დირექტორმა, მარინე ლომიძემ, განმარტა, რომ სკოლა გეგმავდა ინკლუზიური გარემოს გაუმჯობესებასა და ადაპტირებული სველი წერტილის გაკეთებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლას (ს/კ: 226152533) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

		საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ახალდაბა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ახალდაბა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ახალდაბა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტები.

3. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 12 და 13 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 150

მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.
ექსპერტის თქმით, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივი შესაბამისობით, ვინაიდან კომპონენტები 3.4 და 3.6 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, რეკომენდაცია მისცა სკოლას, მეტი ყურადღება დაეთმოთ საგან „საქართველოს ისტორიის“ კურიკულუმისთვის მისი გაუმჯობესების მიზნით.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, მიმართა ექსპერტს ორი შეკითხვით, კერძოდ, უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის კათედრის ერთ-ერთ ოქმში არსებული ჩანაწერის მიხედვით, საკლასო წერა მითითებული იყო, როგორც სადიაგნოსტიკო შეფასება. იგი დაინტერესდა, რას ნიშნავდა „საკლასო წერა“ და როგორ გამოიყენებოდა ზემოხსენებული, როგორც სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი. ხოლო მეორე შეკითხვა ეხებოდა სკოლის რეაბილიტაციის პერიოდს.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა, მაია ქევხიშვილმა, განმარტა, რომ პერიოდულად, ყველა კლასში ერთდროულად ტარდებოდა საკლასო წერა, შემდგომ, შერჩევითობის პრინციპით, ნაწერებს ამოწმებდა პარალელური კლასის დამრიგებელი და ამ ფორმით მიმდინარეობდა დიაგნოსტიკა.
ლელა ფიცხელაურმა დასძინარომ სკოლას რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2022 წელს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, რომლის საფუძველზეც სკოლა ფლობდაშესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს. აქედან გამომდინარე, სკოლას მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება არ გააჩნდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალის საჯარო სკოლას (ს/კ: 237102194) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სოფელი თხინვალი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სოფელი თხინვალი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სოფელი თხინვალი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - პირველი და მეორე სტანდარტი.

საბჭომ 3.4, 3.6 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, სკოლაში ვიდეოკამერების დამონტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და ვებ.გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების უზრუნველყოფის ამსახველი მტკიცებულებების წარმოდგენა.

4. სსიპ - ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 04 და 05 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზედა საქარაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 300 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 1.2, 3.1, 3.4 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

მარიამ ხეთაგაშვილმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა არაფორმალურ განათლებას და წარმატებით ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს. ექსპერტის განცხადებით, სკოლა მონაწილეობას იღებდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში განხორციელებულ რაიონულ კონფერენციაში თემაზე - „ჯანსაღი ცხოვრება- ჯანსაღი სული და სხეული“. მან ასევე დასძინა, რომ ბოლო წლებში დაწესებულებას ჰქონდა ტურისტული საველე ლაშქრობების განხორციელების წარმატებული პრაქტიკა. სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებდა ანსამბლი, რომელიც ხშირად მონაწილეობდა სხვადასხვა სახის მასშტაბურ ღონისძიებებში.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი, დაინტერესდა, რომელ წელს იყო სკოლა აშენებული.

სკოლის დირექტორმა ფატმან გურეშიძემ აღნიშნა, რომ სკოლა აშენებული იყო 2020 წელს სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, გეგმავდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული არასავალდებულო ხასიათის რჩევების გათვალისწინებას.

ფატმან გურეშიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს და აპირებდა აღნიშნულის გათვალისწინებასა და შესრულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლას (ს/კ : 230078395) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა საქარა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა საქარა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზედა საქარა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი და მეორე სტანდარტი.

საბჭომ 3.1 და 3.4, კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: 2020 წლიდან დასაქმებული თანამშრომლების სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის

წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების, შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის წარმოდგენა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, რეკომენდაციის სახით დაწესებულებას ურჩია სამომავლოდ დაყრდნობოდა განათლების სფეროში არსებულ ფუნდამენტურ დოკუმენტებს და აღნიშნულით ეხელმძღვანელა.

5. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა გაბელაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზარზმაში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 300 მოსწავლე, თუმცა დაწესებულებამ წერილობით მიმართა ცენტრს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 70-ით განსაზღვრის თაობაზე, რასაც ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფიც.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 3.4 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
თეა გაბელაიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
მან ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა მიმღებლობის მაღალი მაჩვენებელი ეროვნებისა თუ რელიგიური ნიშნით განსხვავებული მოსწავლეების მიმართ, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სკოლის მხრიდან განხორციელებული სხვადასხვა პროექტი არაფორმალური განათლების კუთხით.
ექსპერტის განმარტებით, შენობა იყო სრულად ადაპტირებული, , აღჭურვილი პანდუსითა და ლიფტით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, ექსპერტს მიმართა კითხვით, რომელ წელს და ვის მიერ იყო სკოლა რეაბილიტირებული. თეა გაბელაიამ აღნიშნა, რომ დაწესებულება რეაბილიტირებული იყო 2020 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, ყურადღება გაამახვილა საგნობრივი კათედრების გაერთიანების პრაქტიკაზე და დაწესებულებისწარმომადგენელს მიმართა კითხვით, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ზემოაღნიშნული. სკოლის დირექტორმა, ზაზა გავაშელმა, აღნიშნა, რომ სკოლა იყო მცირეკონტიგენტიანი, ამიტომ თანამშრომლობის გაზრდის მიზნით განხორციელდა საგნობრივი კათედრების გაერთიანება.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 70-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზარზმის საჯარო სკოლას (ს/კ : 222728074) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 70- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზარზმა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზარზმა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;

მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი, მეორე სტანდარტი.

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და სკოლაში ვიდეოკამერების მონტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

6. სსიპ - ვახტანგ კვარაცხელიას სახელობის ქალაქ წალენჯიხის N4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა გაბელაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ვახტანგ კვარაცხელიას სახელობის ქალაქ წალენჯიხის N4 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 19 და 20 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ წალენჯიხაში წმინდა ნინოს ქ. N126-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 150 მოსწავლე. თუმცა დაწესებულებამ წერილობით მიმართა ცენტრს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 170-ით განსაზღვრის თაობაზე, რასაც ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფიც.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
  თეა გაბელაიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტის განცხადებით, სკოლა იყო სრულად რეაბილიტირებული, აღჭურვილი, როგორც პანდუსებით, ასევე ლიფტით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

შემდგომში კი თავადვე მიმართა ექსპერტს კითხვით, იყო თუ არა ხელისშემშლელი ის ფაქტორი, რომ სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განკუთვნილ სივრცეში არ არსებობდა გამწოვი მოწყობილობა. თეა გაბელაიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებისგან მიღებული ინფორმაციით, ლაბორატორიაში ტარდებოდა იმ ტიპის ცდები, რომლებიც არ მოითხოვდა გამწოვ მოწყობილობას. დავით მალაზონიამ აქვე ხაზი გაუსვა დაწესებულებაში სრულფასოვანი ლაბორატორიის ფუნქციონირების მნიშვნელობას, რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სკოლას უკვე ჰქონდა მიწერილობა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო სკოლას ეზრუნა თითოეული დასაქმებულის პროფესიულ განვითარებაზე და სკოლის დირექტორს მიმართა თხოვნით, აღნიშნული გათვალისწინებული და ასახული ყოფილიყო, როგორც დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში, ასევე შესაბამის დოკუმენტაციაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ვახტანგ კვარაცხელიას სახელობის ქალაქ წალენჯიხის N4 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 170-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა მეორე სტანდართან დაკავშირებული დოკუმენტაცია სრულყოფილად წარმოდგენილი, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ვახტანგ კვარაცხელიას სახელობის ქალაქ წალენჯიხის N4 საჯარო სკოლას (ს/კ : 242730693) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	ქალაქი წალენჯიხა, წმინდა ნინოს ქ. N126

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი წალენჯიხა, წმინდა ნინოს ქ. N126
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი წალენჯიხა, წმინდა ნინოს ქ. N126

18.05 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ. საბჭოს სხდომას გაუძღვა მისი მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი.

7. სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის გა ნხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გოჩა შუბითიძემ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 და 28 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერაში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 50 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 50 მოსწავლისთვის.
გოჩა შუბითიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის

უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ ექსპერტთა შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.2 და 3.4 კი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტებს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, განაცხადა, რომ სკოლის ფილოსოფია, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები არ იყო ერთმანეთთან თანხვედრაში.

სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, რამდენი მოსწავლე ჰყავდა სკოლას მიმდინარე პერიოდში და როგორ იყო განაწილებული საშტატო ერთეულები.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანული მეტრეველმა აღნიშნა, რომ სკოლაში მოცემულ პერიოდში ირიცხებოდა 18 მოსწავლე. რაც შეეხებოდა საშტატო ერთეულებს, სკოლას ჰყავდა დირექტორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი და 16 პედაგოგი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერის საჯარო სკოლას (ს/კ: 237981190) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50- ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ონის მუნიციპალიტეტი სოფელი უწერა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ონის მუნიციპალიტეტი სოფელი უწერა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ონის მუნიციპალიტეტი სოფელი უწერა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი და მეორე სტანდარტი.

საბჭომ 3.4, კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა.

18:20 საათზე საბჭოს სხდომას შეუერთდა, საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია.

8. სსიპ - ქალაქ ტყიბულის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამთა კობახიძემ. ექსპერტის თქმით, სსიპ - ქალაქ ტყიბულის N2

საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 30 და 31 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ტყიბულში, ნინოშვილის ქუჩა N2-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 150 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.

თამთა კობახიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები 3.4 და 3.6 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. ხოლო მეორე სტანდარტი შეფასდა მეტწილ შესაბამისად, რადგან კომპონენტი 2.2 სამივე საფეხურზე შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და განაცხადა, რომ იგი შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები კი აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ საგნობრივ ექსპერტებს მიმართა თხოვნით, საბჭოს წევრებისთვის გაეზიარებინათ მეტი დეტალი მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნინო კაპანაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მოიცავდა გარკვეულ ხარვეზებს, თუმცა პედაგოგებთან გასაუბრებისას, გამოიკვეთა, რომ მათ გააჩნდათ მზაობა გაეთვალისწინებინათ ყველა რეკომენდაცია და სრულად აღმოეფხვრათ ხარვეზები.

მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, მაია ჩაჩხიანმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა პედაგოგების მხრიდან მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, შესაბამისი ცოდნა და უნარები, შეექმნათ სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი კურიკულუმები. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შემდეგ მეტად სრულყოფილად წარმოედგინათ შესაბამისი დოკუმენტაცია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ირმა თოდიძემ, აღნიშნა, რომ საგნობრივი მიმართულებით ექსპერტთა ყურადღება მიიქცია სკოლის მიერ შიდა სასკოლო და რაიონული მასშტაბით განხორციელებულმა ღონისძიებებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, როდის განხორციელდა სკოლის რეაბილიტაცია.

ქალაქ ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ირინე კორძაიამ, აღნიშნა, რომ სკოლა აშენდა 2022 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ტყიბულის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ტყიბულის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 219634849) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ტყიბული, ნინოშვილის ქუჩა N2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ტყიბული, ნინოშვილის ქუჩა N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ტყიბული, ნინოშვილის ქუჩა N2

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები : პირველი და მეორე სტანდარტი.

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ,

შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და საგანგებო სიტუაციების მართვის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული გეგმის წარმოდგენა.

9. სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან მოცემულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ხუციშვილმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 09 და 10 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა თბილისში, სიმონ ჩიქოვანის N26-ში, ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 800 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 800 მოსწავლისთვის.
ირმა ხუციშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და შედგა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის შეფასება შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.1 და 3.4 ასევე შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტებს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლა 2005 წლიდან დღემდე აქტიურად თანამშრომლობდა გერმანიის

ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს უცხოეთში მოქმედი სასკოლო განათლების ცენტრალურ უწყებასთან (ZFA), რომლის ფარგლებშიც, მას 2006 წელს მიენიჭა გერმანული ენის დიპლომის სკოლის სახელი (DSD-Schule). სკოლა ასევე თანამშრომლობდა პედაგოგიური გაცვლის სამსახურთან (PAD) და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურთან (DAAD). 2007 წლიდან სკოლა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ყოველწლიურად ატარებდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კულტურის მინისტრთა საბჭოს (KMK) მეორე საფეხურის, ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენის ცოდნის B1 დონის(DSD I) და B2/C1 დონის, გერმანული ენის დიპლომის (DSDII) გამოცდებს.
ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში ასევე წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ იგი შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერისა და წახალისების მიზნით, რა ღონისძიებების გატარებას უზრუნველყოფდა დაწესებულება.
სკოლის დირექტორმა, ნინო დათიშვილმა, აღნიშნა რომ სკოლა ხშირად საჯაროდ აჯილდოვებდა მოსწავლეებს სიგელებითა და დიპლომებით, ასევე ხდებოდა ინფორმაციის გაზიარება სკოლის ვებ.გვერდზე მშობლისა და მოსწავლის თანხმობის საფუძველზე. დირექტორის განცხადებით, მოსწავლეთა წარმატებების აღნიშვნა ხორციელდებოდა ა მათ პირად საქმეებშიც.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით და სთხოვა დაეზუსტებინა, გამომდინარე იქიდან, რომ იგი იყო ახლად არჩეული დირექტორი, შეესაბამებოდა თუ არა მისი ხედვა სკოლის განვითარების თაობაზე იმ ხედვასა და ფილოსოფიას, რომელიც სკოლას უკვე გააჩნდა მისი არჩევის პერიოდში.
დირექტორმა განმარტა, რომ იგი 20 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო ზემომითითებულ დაწესებულებაში, როგორც მასწავლებელი, შესაბამისად, კარგად ჰქონდა გააზრებული სკოლის საჭიროებებიც. მან განაცხადა, რომ მისი ხედვა შესაბამისობაში იყო სკოლის ამჟამად არსებულ ხედვასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ გადმოგზავნილი პირველადი დოკუმენტაცია, კერძოდ, პროექტული გაკვეთილები, მოიცავდა გარკვეულ ხარვეზებს, რის თაობაზეც ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ვიზიტის შემდეგ სკოლის მიერ მოხდა რედაქტირებული ვერსიების წარმოდგენა ცენტრში, რომელიც იყო სტანდარტის შესაბამისი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები და საგანგებო სიტუაციების უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული მართვის გეგმა, შესაბამისად, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მას არ მიაჩნდა მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლას (ს/კ: 204900107) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, სიმონ ჩიქოვანის N 26
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, სიმონ ჩიქოვანის N 26
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, სიმონ ჩიქოვანის N 26

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი და მეორე სტანდარტი.

საბჭომ 3.1 და 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, საგანგებო სიტუაციების მართვის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული გეგმის წარმოდგენა, ასევე, ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის დასაქმებისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამწოვი კარადით აღჭურვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 20:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე/საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა